

შპს “წალკა 91“

ფინანსური ანგარიშგება

2024 საანგარიშებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „წალკა 91“ ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის,

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე პროგნოზირებად მომავალში საქმიანობის შეჩერებას და ორიენტირებულია მოგების გაზრდაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია: კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე; ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს; სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის.

ხელმძღვანელობის მიერ. დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 22 სექტემბერს

შპს წალკა 91 ის დირექტორი



გ ჯიქია

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26106	29765
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	152161	109902
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4713	11270
მარაგები	394971	291670
მზა პროდუქცია	394971	291670
სხვა	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	771
სხვა არამატერიალური აქტივები	11746	45763
ძირითადი საშუალებები	2440810	2516133
სხვა გრძელვადიანი აქტივები	73917	84138
სულ აქტივები	3104424	3089412
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	206651	109246
საგადასახადო ვალდებულებები	2429	0
მიღებული ავანსები	106315	107171
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1365641	1421043
სხვა ვალდებულებები	50826	58361
სულ ვალდებულებები	1731862	1695821
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1372562	1393591
სულ საკუთარი კაპიტალი	1372562	1393591
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3104424	3089412

შპს წალკა 91 ის დირექტორი



გ.ჯიქია

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
შემოსავლო საქონლის გაყიდვიდან	2760469	1707796
გაყიდვების თვითღირებულება	-1649927	-835299
საერთო მოგება	1110542	872497
დასაქმებულთა ანაზღაურება	-85900	-70450
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-208628	-170945
საპროცენტო ხარჯი	-112287	-96789
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-628307	-644281
სულ საოპერაციო ხარჯები	-1035122	-982465
საოპერაციო მოგება	75420	-109968
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-96061	26270
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-20641	-83698
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-20641	-83698
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1393591	1476490
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-388	799
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1372562	1393591

შპს წალკა 91 ის დირექტორი



გ.ჯიქია

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

(ერთ ლარი)

N	დასახელება	ფინანსური ბრუნვა
1	მიწოდების ხარჯები	288847
2	კომუნალური ხარჯი	18333
3	სამეურნეო ხარჯი	43411
4	დაზღვევა	156
5	მიმდინარე რემონტის ხარჯი	67397
6	ბანკის მომსახურება და ჯარიმები	2497
7	საპენსიო გადასახადი	1859
8	საკანცელარიო ხარჯი	691
9	ოფისის ხარჯი	309
10	შრომის უსაფრთხოების ხარჯი	2833
11	აღთაკლიის სხვადასხვა ხარჯები	6639
12	კომუნიკაციის ხარჯი	1264
13	მივლინების ხარჯი	14400
14	სხვა ხარჯები	1225
15	მიწის გადასახადი	10319
16	ქონების გადასახადი	19793
17	სხვადასხვა მომსახურება	148334
	სულ	628307

ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „წალკა 91“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 28.10.1996წ. ს.ნ 243119718

კომპანიის დამფუძნებელი:

გიორგი ჯიქია პ.ნ. 01006013220 – 49 % წილის მმართველი;
დავით ჯიქია პ.ნ. 01006007528 – 51% წილის მმართველი.

კომპანიის დირექტორი გიორგი ჯიქია პ.ნ. 01006013220

იურიდიული მისამართი: საქართველო, წალკის რ-ნი სოფ ხადიკი.

ფაქტობრივი მისამართი: 1. თბილისი, ქინძმარაულის ქ N32ბ /ოფისი და წარმოება/;

2. წალკის რ-ნი სოფ ხადიკი /მოპოვება/;

3. გარდაბნის რ-ნი სოფ აღთაკლია /ბლოკის წარმოება და პერლიტის შრობა/.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება და ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება (პერლიტისა და პემზის მოპოვება), საამშენებლო ბლოკის წარმოება, ნედლეულის ექსპორტი.

კომპანიას გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 4 ლიცენზია, მათ შორის:

1. 3 საკუთარი:

1. ლიცენზია N 1005007 - 2042 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით;
2. ლიცენზია N 1000250 – 2028 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით;
3. ლიცენზია N 100969 – 2030 წლის 8 თებერვლის ჩათვლით;

2. 1 იჯარით:

4. ლიცენზია N 1004624 - 2026 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით;

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხდება წალკის რ-ში.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ, 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2024 წ. კომპანიაში დივიდენდი არ განაწილებულა
კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული

გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

ფული და ფულის ექვივალენტები

(ერთეული ლარი)

ნაღდი ანგარიშწორებით ოპერაციები საწარმოში ხორციელდება შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებული საკასო აპარატის მეშვეობით.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება საღაროში არსებული და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშთებისაგან.

ფული და ფულის ექვივალენტები (ერთეული ლარი)	31.12.2024 წ	31.12.2023 წ
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	902	408
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	6843	10746
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	18361	18611
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	26106	29765

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად გადახდილი ავანსების გათვალისწინებით.

მიღებული და გადახდილი ავანსები არ გადაფასდება.

საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოშობილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები

საქ. ეროვნული ბანკის ოფიც. გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლებელია ვერ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში. შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით

	2023 -2024 წწ
შენობა-ნაგებობები	20 - 25
მანქანა - დანადგარები	5 - 8
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5 - 6
სპეციალური ინსტრუმენტები	3 - 6
მსუბუქი ავტომობილები	7 - 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4 - 7

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს. ჩამოწერა ხდება მაშინ როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი

მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ

შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებები

(ერთეული ლარი)

	მიწა	შენობა/ ნაგებობა	მანქანა დანადგ	ავეჯი და ინვ	სხვა	ავტოტრანსპ.	სულ
ძირ საშუალებები 31.01.2023	499170	466896	793221	4292	96114	839430	2699123
შემოსვლა	0	19182	742274	0	12236	0	773692
გასვლა	0		14500	0	0	0	14500
ძირ საშუალებები 31.12.2023	499170	486078	1520995	4292	108350	839430	3458315
შემოსვლა	0	12803	78306		6298	36560	133967
გასვლა	0	0	0	0	0	0	0
ძირ საშუალებები 31.12.2024	499170	498881	1599301	4292	114648	875990	3592282
დაგრ ცვეთა 31.01.2023		69434	308441	2091	51958	360406	792330
გასვლა			12500				12500
დარიცხ ცვეთა 2023		6648	83360	622	10466	61256	162352
დაგრ ცვეთა 31.12.2023	0	76082	379301	2713	62424	421662	942182
გასვლა							0
დარიცხ ცვეთა 2024		8015	129277	610	10802	60586	209290
დაგრ ცვეთა 31.12.2024	0	84097	508578	3323	73226	482248	1151472
ძ/საშ ნარჩ ღ-ბა 2023	499170	409996	1141694	1579	45926	417768	2516133
ძ/საშ ნარჩ ღ-ბა 2024	499170	414784	1090723	969	41422	393742	2440810

(ერთეული ლარი)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი	საბალანსო ღ-ბა	დაგეოვილი ამორტ	ამორტიზაცია	გასვლა
არამატერ. აქტივი 31.01.2023	103175	0	0	34678
არამატერ. აქტივი ამორტ 2023		48820	8593	0
არამატერ. აქტივი 31.12.2023	68497			34678
არამატერ. აქტივი ამორტ 2024		22735	1650	2312
არამატერ. აქტივი 31.12.2024	33819	22073		
საბალანსო ღ-ბა	11746			

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

საწვავის შეძენა ხდება ბარათების საშუალებით, ხოლო ჩამოწერა წარმოებს საწარმოს კუთვნილი 10 ერთეულ ავტომობილებსა და მძიმე ტექნიკაზე მრიცხველის და შემოსავლების სამსახურის ერთიან ბაზაში საწარმოს მიერ გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე საწვავი ჩამოიწერება იჯარით აღებულ ავტოტრანსპორტზე.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ მოპოვებასთან, შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების ჩათვლით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია გადასაყიდად. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

(ერთეული ლარი)

	31.12.2024	31.12.2023
მარაგები	183832	213632
მზა პროდუქცია	192478	59799
სხვა მარაგები	18661	18239
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	394971	291670

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. რეალიზაცია ხორციელდება საბითუმო და საცალო წესითაც უნაღდო და ნაღდი ანგარიშწორებით. ნაღდი ანგარიშწორებით შემოსული თანხები აღიარდება საკონტროლო საღარი აპარატის მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024წ	31.12.2023წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	120986	78727
გადახდილი ავანსები	4713	11270
საექვო მოთხოვნები	31175	31175
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	156874	121172

სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

ვალდებულებები.

	2024წ	2023წ
სავაჭრო ვალდებულებები	206651	109246
საგადასახადო ვალდებულებები	2429	0
მიღებული ავანსები	106315	107171
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1365641	1421043
სხვა ვალდებულებები	50826	58361
სულ ვალდებულებები	1731862	1695821

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

2024 წელს კომპანიას საბანკო დაწესებულებიდან დამატებით აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი 30000 და 70000 აშშ დოლარი. სესხი ძირითადად განკუთვნილია აღთაკლიის სარმოების მოსაწყობად და მძიმე ტექნიკის შესაძენად.

სულ საწარმოს ერიცხება სს საქართველოს ბანკიდან 8 გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულება, ჯამში 1 365 641 ლარის ოდენობით. საშუალო წლიური პროცენტი შეადგენს 5 - 11 პროცენტს. ბანკის სესხები, საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ვადაგადაცილებული დავალიანება კომპანიას არ ერიცხება.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კვალიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი. კომპანიის შემთხვევაში საწესდებო კაპიტალის ცვლილება არ მომხდარა. 2024 წელს არ მოხდა დივიდენდის გამოცხადება და განაწილება.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 სექტემბერს.

შპს „წალკა 91“-ს დირექტორი



გ. ჯიქია